

ქაოსი ქაოსის ქაოსში

ზანი 50 თმითი № 3 22 - 29 თებერვალი 2016 წელი ბამოლის სამშაბათობით

**დანგრეული
გზები და
უკმაყოფილო
მოსახლეობა**
33. 3

**საცხოვრებელი პირობებისა და
სოციალური სტატუსის გარეშე
დარჩენილები**

**ფოთის
ავტოსადგურის
შენობა
უმიმებს
მდგომარეობაშია**
33. 3



მარი ალიხანაშვილი
ფოთი

**ფოთის ბიუჯეტში
კრიზისია თუ
დროებით
შეფერხება?!
გაიხემა თუარა
თაბერვლის
ხელფასები?** 33. 2

**ქალაქში
არსებული
რამდენიმე ლიფტი
გაღე
გამოიხველება** 33. 4

ფოთში, თამარ მეფის № 52-ში, ყოფილი სტამბის შენობაში, ექვსი წლის წინ შესახლებული სოციალურად დაუცველი მოზინადრეების პრობლემა წლებია, პრობლემად რჩება. საქმე ის გახლავთ, რომ შენობა შესახლების პერიოდშიც რეაბილიტაციას საჭიროებდა, უკანა აივანის ჩამონგრევის საშიშროება ძალიან დიდია, ჭერიდან ბათქაში ცვივა და ნებისნეირ დროს შეიძლება უბედურება დატრიალდეს. შენობაში როგორც ბავშვები, ასევე ფეხმძიმე ქალიც ცხოვრობს. ყოფილი სტამბის შენობაში დღეს დაახლოებით 15 ოჯახი ცხოვრობს, აქედან 2 ოჯახი დევნილია და ახალაშენებულ ბინებში ფართების მიღების მოლოდინში არიან. 2012 წელს არჩევნებამდე ადგილობრივმა ხელისუფლებამ 13 ოჯახს ფართები საკუთრებაში გადასცა და გარემონტებასაც დააირდა, მაგრამ ამდენი წლის გასვლის შემდეგაც იგივე მდგომარეობაა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სოციალური სტატუსი მოხსნილი აქვთ.

ჯობავე მეუღლეს გაშორებულია და მარტო ზრდის 4 ვაჟს. მათ შორის უფროსი 16 წლისაა, უმცროსი კი - 9 წლის: "დაახლოებით ერთი წლის წინ მოვიდა სოციალური აგენტი და ხელმოკრედ გააკეთეს აღრიცხვა. რატომღაც ძალიან მაღალი ქულები მომივიდა. მხოლოდ სარეცხი მანქანა მაქვს, ისიც განვადებით გამოტანილი. ალბათ ამისთვის მომიხსნეს სოციალური დახმარება. როცა მივაკითხე სოციალურ სამსახურს, განმიმარტეს, რომ ჩემს სახელზე ავტომანქანა გაფორმებული. მართვის მოწმობაც კი არ მაქვს და ავტომანქანაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი". საუბარს ბავშვების მამიდა ხათუნა ჯობავე შემოესწრო, რომელიც დროდადრო მიდის ძმასთან, რათა ძმისშვილებს ცხელი საჭმელი მოუშალოს და სახლი დაუღავოს. მანაც დაგვიდასტურა, რომ მისი ძმა არსად მუშაობს და სოციალურად ძალიან უჭირთ: "ზამთარში შემის ყიდვაც ვერ მოახერხა, რომ ბავშვები გაათბოს. ზოგჯერ ვინმე თუ დაეხმარება. ასე გააქეთ თავი. შენობას რაც შეეხება, თავადაც ხედავთ, რომ დანგრევის პირასაა, ნახევარი წინა მხარე გადახურეს და უკანა მხარეს ვინც ცხოვრობს, ყველას აწვიმს".

**ფოთელი
ქალოსანი ირაკლი
ჭანტურიც
მსოფლიო
ჩემპიონი გახდა**
33. 7

„მთავარი თემა სამეგრელოში“ ხშირად აშუქებს სოციალურად დაუცველი ადამიანების პრობლემებს, რომელიც, სამწუხაროდ, მწარე რეალობაა დღეს საქართველოში. ჩვენ ზემოთ აღნიშნულ ოჯახებსაც ვეწვიეთ და გავეცანით მათ ყოფას. 38 წლის ზაზა

ამავე შენობაში მცხოვრები ნანი გოგელიაც სოციალური დახმარების გარეშე დარჩენილი, რაც იმის შემდეგ მოუხსნეს, როცა მისი შვილი უამრავი სხვა

დანგრეული გზები და უკმაყოფილო მოსახლეობა

ნანუკა ქაჯაია ფოთი

დანგრეული გზები და განადგურებული ქუჩები ჩვენი ქალაქის განუყოფელი ნაწილი და წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემა გახლავთ. მრავალი დაპირების მიუხედავად, ისევ მოუვლელი და გაუკეთებელია ქალაქის როგორც მეორე ხარისხის, ისე ცენტრალური ქუჩებიც. ამ თემასთან დაკავშირებით ყველაზე კომპეტენტურად ტაქსის მძღოლები მივიჩნევთ, რადგან მათ ყველა ქუჩაზე უწყვეტ მგზავრების გადაყვანა და, შესაბამისად, კარგად იცნობენ გზების პრობლემასაც და თავიანთი სატრანსპორტო საშუალებებზე ამის გამო შექმნილ დიდ პრობლემასაც. ჩვენი ვარაუდი სწორი გამოდგება. მძღოლებმა ზუსტად აღწერეს ჩვენი ქალაქის ქუჩების სავალალო მდგომარეობა: „არც ერთი ქუჩა ქუჩას არ გავს. აბსოლუტურად ყველა გაფუჭებულია, ნორმალური გზა არ არსებობს. ეს აზიანებს მანქანებს. არც ერთ უბანში წლებია ხრეშიც კი არ დაყრილა, უფრო დიდ რემონტზე რომ არაფერი ვთქვათ. დღითიდღე მატულობს ორმოები, არც ხიდები კეთდება და არც არაფერი“.

65 წლის ბადრი სარჯველაძის თქმით, ფოთში ასე ცუდ მდგომარეობაში ქუჩები არასდროს ყოფილა: „ქალაქს არც მერი ყავს და არც სხვა ვინმე მართ-

ველი. თუ ახალს არ აგებენ, გადაასწორონ მაინც ძველი. კაკულია სანამ მერი გახდებოდა, ყველაფრის გაკეთებას გვიპირდებოდა. სათვეზაოდ ვიყავით გასულელები და იქ მოვიდა მეთევზეებთან, ლამის ოქროს ბადეებს დაგვიპირდა. რაც მერი გახდა, აღარსად სჩანს. როცა სკამებზე დასხდებიან, ყველაფერი ავიწყდებათ. კომუნისტების დროს აბაგებთ, მაგრამ მაშინ მანქანებიდან ყრიდნენ პირდაპირ ასფალტს. ეს კაცი კი გარეთ არ უნახავს არავის“.

იანგული მოსიავეც უკმაყოფილოა ქალაქში არსებული გზების მდგომარეობით: „დღევანდელი გადმოსახედიდან, ქალაქის განვითარება ინფრასტრუქტურის მხრივ ნულის დონეზეა. საშინელებაა გზები, ქუჩები, ხიდები, ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს, რა უჭირს ხალხს, კარდაკარ უნდა მივიდეს, თვითონ უნდა იაროს და გაიგოს რა ხდება რეალურად“.

აბელი კვარაცხელია თანაქველექების აზრს ეთანხმება: „რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, რამე გაკეთდეს, მაგრამ ვინაა გამკეთებელი?! არ ვარგა არც ერთი გზა, ქუჩები რომ ჩამოვთვალო, რომელიმე გამომრჩება, ყველგან ცუდი მდგომარეობაა. ერთი აღმაშენებლის ქუჩაა ნორმალურად, თორემ სხვა გაფუჭებულია ყველა. ჯერ ცოტნე დადიანის ხიდთან ვერ გახვალ ნორმალურად და თვითონ ძეგლთან იმხე-

ლა ორმოა, მანქანით რომ მოვდიოდი, ჩავევარდი და კინაღამ საავტომობილო სიტუაცია შეიქმნა. რომელი ქუჩაა კარგად, რომ ვთქვა, იმასაც გადათხრიან, ალბათ“.

ვაჟა აბურჯანიას და მასთან ერთად მყოფ რამდენიმე მძღოლს ისევ წინასწარ ჩვენი პერიოდის იმედი აქვს, ამბობს, იქნებ რამე გააკეთონ: „ქალაქს არ ყავს პატრონი და არც ყოლია მგონი არასდროს. მიწოდება მანქანის ყიდვა, მაგრამ გადავიფიქრე. ისეა გაფუჭებული გზები, მანქანის რემონტს დაჭირდება მეორე მანქანისოდენა ფული. არჩევნების წინ აქტიურობენ და იქნებ ახლა მაინც გააკეთონ რამე, ვნახოთ, სხვა რა გზა გვაქვს, ველოდებით“.

ტარიელ დანელიას თქმით: „ყველა ქუჩა გაფუჭებულია - ამოტეხილ-ამოტეხილია საშინლად. დამე რომ წახვიდე, კისერს მოიტეხავ გზაზე. ერთობის, აკაკის, ჩხვიძის, ნიკოლაძის, ცხრა აპრილი, რეკვაფას ქუჩები და რა ვიცი რომელი ერთი ჩამოვთვალო, იმდენია“.

აღნიშნულთან დაკავშირებით სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სვეტირან შენგელია როგორც გვეუბნება ქალაქში ასფალტის ორმოული შეკეთების სამუშაოები, დაახლოებით 10 დღის განმავლობაში დაიწყება. ამისთვის გამოიყოფა 177 000 ლარი: „ეს განკუთვნი-



ლია პირველი ეტაპისთვის, რომელიც ტარდება ტენდერის გარეშე მოკლე დროში, რომ მიესწროს, გაკეთდება აკაკისა და თავდადებულის ქუჩები, სამეგრელოს მოედანი, 9 აპრილის და ოცნების ხეივანები. ხოლო მეორე ეტაპისთვის გამოცხადდება

ტენდერი მარტის ბოლოს და დაიწყება მაისის პირველ ნახევარში. იგი მოიცავს დანარჩენ ქუჩებს, რისთვისაც წელს გამოყოფილია 320 000 ლარი, შედარებისთვის - შარშან 80 000 ლარი იყო. ეს იქნება ქუჩების მოხრეშვა-მოვრეიდერება

დასასრული 5- გვ.

ფოთის ავტოსადგურის შენობა უპიძენს მდგომარეობაშია

მარიამ ალინაშვილი ფოთი

ფოთი როგორც უძველესი, ისე უსახური შენობებითაც გამოირჩევა. ჩვენს ქალაქში ბევრი შენობაა გაურემონტებელი და ცუდ მდგომარეობაში, მათ შორის ერთ-ერთი ქალაქის ავტოსადგური გახლავთ. შენობა ფუნქციონირებს და ვისაც აქედან უმგზავრია, კარგად ხედავს, რომ შენობაში ისე წვიმს როგორც გარეთ, ასეთივე მდგომარეობაშია მისასვლელი გზაც. წყლის გუბეები დგას ყველგან. ჩვენ გავესაუბრეთ მძღოლებს, რომლებმაც ვინაობის გამხელა არ ისურვეს, უფრო მეტიც, მათგან კრიტიკული ვერაფერი მოვისმინეთ. პირიქით,

გვითხრეს, რომ ყველაფერი კარგად აქვთ და „შენობას როდესმე ხომ გააკეთებენ“, „მეპატრონე კარგ ყურადღებას გვაქცევს, არაფერი გვაკლია“, „ყოველდღე ხარს ხომ არ დაგვიკლავს?“ - ასეთი გახლდათ მათი პოზიცია. რატომ ვერ ხედავენ საშინელ მდგომარეობაში მყოფ შენობას ან გუბეებით სავსე გზას, ეს ჩვენთვის ამოუხსნელი დარჩა. სამაგიეროდ, სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვთ მგზავრებს. როგორც მათ გვითხრეს, ავტოსადგური ავტოსადგურს არ გავს, განსაკუთრებით წვიმის დროს აქ არის საშინელი მდგომარეობა იქმნება, ვერ გაივლი, რადგან ყველგან წყალი დგას და არც მოსაძღვრია. რომ ასაკოვანი



ადამიანი მაინც ჩამოჯდეს და დაელოდოს გამგზავრების დროს.

ცირა შელია - 67 წლის: „რა სადგურია ეს, შვილო? მზიან ამინდში კიდევ არა უშავს, წვიმის დროს კი საშინელებაა აქ მოცდა, რადგან აქაც წვიმს“.

გივი ბერიძე-50 წლის: „რა თქმა უნდა, თუ მოსაცდელი დარბაზი გაკეთდება, გადახურული იქნება და გზაც გაკეთდება, ამას რა ჯობია? ამათაც რა ქნან, როგორც ჩანს, ბიუჯეტი არ ყოფნით შესაკეთებლად“.

შპს „ავტო ტრანს სერვის“ ეკუთვნის, რეალურად კი „ვისოლის“ კომპანიას. ავტოსადგურის შენობა 8000 კვადრატული მეტრია და ჯერ კიდევ 2010 წელს უნდა გარემონტებულიყო. შენობა არენდით ჰქონდა აღებული შპს „ნიმარს“ და დაწყებულიც ქონდა რემონტი, უნდა გაკეთებულიყო მოსაცდელი დარბაზი, სასტუმრო და 2010 წელსვე უნდა დასრულებულიყო. როგორც ამბობენ, პირველი კლასის ავტოსადგური უნდა ყოფილიყო. ჩვენთვის ცნობილი ინფორმაციით, კომპანია

„ვისოლი“ წინასწარ თხოვდა არენდის ფულს და შპს „ნიმარს“ საშუალება არ მიეცა გაეკეთებინა და მერე გადაეხადა არენდის ფული. შენობაში ავტოსადგურის გარდა განთავსებულია სხვადასხვა საწარმო თუ მაღაზია. დაინტერესდით რა აზრის იყო ავტოსადგურის უფროსი დავით შონია შენობის მდგომარეობაზე. რამდენად გასაკვირი უნდა იყოს, შონიასთვის უცნობია შენობის მეპატრონის ვინაობა: „რა ვიცი ვინაა პატრონი“ - გვითხრა მან და

დასასრული 5- გვ.

ქაონი შიდასაქალაქო ტრანსპორტში

ნანუკა ქაჯაია ფოთი

წლებია ფოთში შიდასაქალაქო ტრანსპორტი ქაონსურად მოძრაობს. ამ შემთხვევაში კონკრეტულად მალთაყვის ხაზზე გვაქვს საუბარი, რადგან რედაქციას სამარშრუტო ტაქსების მოძრაობით შეწუხებულმა მგზავრებმა მოგვმართეს, რომლებიც გამუდმებით სამარშრუტო ტაქსების ლოდინის გამო შეწუხებულნი არიან, რაც, მათივე თქმით გამოწვეულია მძღოლების თვითნებურად მოძრაობით. საქმე ისაა, რომ მძღოლები მანამ არ ძრავენ სამარშრუტო ტაქსს, სანამ ბოლომდე არ გაივსება და არ გეგონოთ, ეს ეხებოდეს მხოლოდ დასაჯდომ ადგილებს. ნაცვლად იმისა, რომ მძღოლები უყურებდნენ დროს და წუთების მიხედვით გადიოდნენ დანიშნულების ადგილიდან, უყურებენ ხალხის რაოდენობას და მას შემდეგ იძვრიან ადგილიდან, როცა მგზავრების რაოდენობა მაქსიმალური გახდება. აქვე შეგახსენებთ, რომ საკრებულოს დადგენილების მიხედვით, სამარშრუტო ტაქსი ყოველ 7 ან 10 წუთში უნდა გადიოდეს.

სწორია ისეთი შემთხვევებიც როცა მძღოლები შეურაცხოვას აყენებენ მგზავრებს სხვადასხვა მიზეზით, უფრო სწორად მგზავრობის საფასურის გამო. მე პირადად მალთაყვის უბანში ვცხოვრობ და ერთხელ მძღოლის ლანძღვის ობიექტიც კი გავხდი, როცა მას მგზავრობის საფასურად ხუთ თეთრიანი მონეტები გაუწოდე, თითქოს აღნიშნული მონეტები ჩვენი ქვეყნის

ფული არ იყოს. რამდენიმე დღის მერე იმავე მძღოლის ლანძღვის ობიექტი სკოლის მოსწავლე გოგონა გახდა, რომელსაც ჰკითხა. იხდიდა თუ არა მგზავრობის საფასურს და როცა ბავშვმა მორცხვად დაიწყო ადგომა დაკავებული ადგილიდან, მძღოლს ლანძღვა არ დაუყოვნებია. შეურაცხყოფილი გოგონა თვალზე ცრემლებმომდგარი ჩავიდა სამარშრუტო ტაქსიდან და გაჩერებაზე დადგა. მძღოლის საქციელით უკმაყოფილო მგზავრებმა ბავშვი ისევ ამოიყვანეს სამარშრუტო ტაქსში, თუმცა გოგონასთვის მიყენებული შეურაცხყოფა იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ ის ცრემლიან თვალებს მალავდა. არადა, უკვე თითქმის ერთი წელია საკრებულოს დადგენილებით სამარშრუტო ტაქსის მძღოლებს გაუზარებდათ გადასახადი იმ მოტივით, რომ ბავშვებს მოემსახურონ უფასოდ.

ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოადგილეს თემურ ღუნდუას როცა ამ ფაქტზე ვუთხარით, ვეთხრა რომ ყოველ დღე აწარმოებენ მონიტორინგს სამარშრუტო ტაქსების მუშაობაზე, თუმცა ჩვენმა რეპლიკამ „გამოდის ცუდად აწარმოებენ თქვენი თანამშრომლები მონიტორინგს“, ფრთხილად გააღიზიანა: „თუ ჩანაფერები არ არის, იმდენად მესაუბრებთ, არ ვიცი. ტრანსპორტის განყოფილებაში ორი თანამშრომელი გვყავს, მაგრამ გვეხმარებიან მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, რათა გააკონტროლოთ ეს სფერო. შეიძლება თითო - ორთა შემთხვევა დაფიქსირდა, მაგრამ სის-



ტმატიური ხასიათი მსგავს ფაქტებს ნამდვილად არ აქვს. ამას გარდა, ყოველ დღით ახალ დასახლებაში შედის სამარშრუტო ტაქსი და უფასოდ მიყავს სკოლაში ბავშვები, ეს მათი სურვილია და ყოველდღე ენაცვლებიან ერთმანეთს მძღოლები. ასე რომ, რომელიმე სამარშრუტო ტაქსის მძღოლი შეიძლება უზრდელად მოიქცეს, მაგრამ ეს ყველაზე ნამდვილად არ ვრცელდება. თუ მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა, საუბარია ხალხის გაუქმებაზე.

დავინტერესდით იმითაც, უფლება აქვს თუ არა სამარშრუტო ტაქსის მძღოლს უფასო მგზავრი (ამ შემთხვევაში ბავშვი) ფეხზე დააყენოს. „რას ამბობთ, რომელ დებულებაში უწერიათ, რომ ბავშვი ფეხზე იდგეს. მე ტელევიზიითაც გამოვედი და აღვნიშნე, რომ სკოლის მოსწავლეებისათვის სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა უფასოა. მათ გაუზარებდათ გადასახადი მოსწავლეების მგზავრობის ხარჯზე, რაც შეე-

ება გაჩერების დროს, სხვადასხვა ხაზზე სხვადასხვა დროს აქვს და ამ დროის გასვლის შემდეგ უფლება არ აქვთ, გაჩერდნენ და სამარშრუტო ტაქსის გაგვებას დაელოდონ“. ღუნდუა ასევე დაგვიპირდა, რომ მკაცრ კონტროლზე აიყვანს აღნიშნულ ხაზს. რაც შეეხება მძღოლებს, მათი თქმით ყველაფერი წესრიგშია.

დავით მოლაშხიას თქმით: „გავდივართ ყოველ ათ წუთში, მაგრამ გააჩნია, დღის რომელი ნაწილია, მაგალითად, დილაობით ბევრი ხალხი მგზავრობს. ბავშვები სკოლებში მიდიან, დიდები სამსახურებში და უფრო მოკლე დროის ინტერვალით ვმოძრაობთ, ვიდრე ვთქვათ, შუადღეს, რადგან ამ დროს ჩვენ თითქმის სულ ცარიელი დავდივართ. თუ კი გაივსება დროზე ადრე, ჩვენც გავდივართ, მაგრამ ნამდვილად არ ველოდებით ტრანსპორტის გაგვებას. შეიძლება მოხდეს ისე, რომ 5-10-15

წუთში მოგიწიოს გასვლა, ყოველთვის ცარიელი ხომ ვერ ვივლით? შეგიძლიათ თავად ნახოთ, შუადღეს როგორ ვმოძრაობთ. ბავშვებს რაც შეეხება, ყოველთვის ვუჩერებთ და მიგვყავს ისინი, სავსეც რომ იყოს სამარშრუტო ტაქსი მაინც, გამორიცხულია ბავშვი დავტოვოთ გზაზე. კანონი ვინ დაგვიწესა ამაზე? არ ვიცოდი, მაგრამ ჩვენ კანონის გარეშეც ვუჩერებთ და მიგვყავს ბავშვები. პრეტენზიული კლიენტები სულ არიან და იქნებიათ კიდევ, კლიენტი კმაყოფილი არასდროსაა, სავსე თუა ტრანსპორტი პრეტენზია აქვს და თუ ცარიელი წახვალ, შესაძლოა, იმაზეც შემოგედავოს, ცარიელი რატომ მიდისარო. მძღოლიც ადამიანია თავისი ნერვებით და პრობლემებით და იქნება ზოგჯერ არასწორად მოიქცეს. 22 წელია ამ სფეროში ვმუშაობ და არავინ ყოფილა ჩემზე ნაწვენი“.

ქალაქში არსებული რამდენიმე ლიფტი მალე გაპოივსდება

ნანუკა ქაჯაია ფოთი

ქალაქში არსებულ მრავალსართულიანი სახლების მოსახლეობა ლიფტების მუშაობით უკმაყოფილონი არიან, რადგან ლიფტები ძალიან ძველია და ხშირად ფუჭდება, რაც, დისკომფორტს უქმნის მათ. ამავე დროს მოსახლეობის ნაწილს ლიფტის მომსახურების გადასახადიც აწუხებს და მიიჩნევენ, რომ ეს გადასახადი მხოლოდ მაღლა ასვლის დროს უნდა იყოს გადასახადი, რადგან ყოველ ასვლა-ჩამოსვლაზე ფულის გადახდა, თან როცა დღის განმავლობაში რამდენჯერმე ჰქირდება ადამიანს ლიფტი, ძნელია. ვესაუბრეთ შპს „ფოთილიფტის“ დირექტორს მერაბ როყვას, რომელიც გვიდასტურებს, რომ ლიფტები მართლაც ძველია, მაგრამ მათი გამოცვლა იმდენად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომ ძალიან რთულია, ამიტომ რაც არის, იმით ემსახურებიან ხალხს. რაც შეეხება კონტროლს, როყვას თქმით, თა-

ვად მოსახლეობა თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ გაუფრთხილდნენ და არ დააზიანონ არსებული ლიფტები. რაც შეეხება ნაწილობრივ გადახდას, ანუ მხოლოდ ასვლის დროს, მისი თქმით, ეს მხოლოდ ხარჯს მოიტანს. როგორც როყვამ გვითხრა, მათ ჩაატარეს ექსპერიმენტი - გათიშეს ყველაფერი და უფასო ლიფტის პირობებში ზარალი ნახეს - დაიხარჯა ელექტროენერგია, გაიზარდა დაზიანება ლიფტებში, ბავშვები ხან მკვლობანას თამაშობდნენ ლიფტით, ხან ისე ერთობოდნენ, ზრდასრულები ლიფტს იყენებდნენ თუნდაც ერთი სართულით მაღლა ასასვლელად, არ ფიქრობდნენ, რომ მათი საქციელით ლიფტს ზიანს აყენებდნენ: „წელს ლიფტების რეაბილიტაციისთვის გარკვეული თანხა გათვალისწინებულია. გაკეთდება 10-15 ლიფტი თანამედროვე სტილზე ქალაქის სხვადასხვა უბანში. სულ 64 ლიფტია მუშა-მდგომარეობაში და მათგან ყველაზე

ავარიულიები შეკეთდება. ამ დღეებში გამოცხადდება ტენდერი დაახლოებით 145-150 000 ლარის ოდენობით. განვითარების დონემ აიწია და იქნება თანამედროვე ელექტროენერგიის გაყვანილობა, კედლები განახლდება თავისი კეთილმოწყობით, გამართული განათებით, ახალი მექანიზმით და მოსახლეობა უნდა გაუფრთხილდეს, თორემ ფეხების რტყევით, ჩამოკიდება-დაკიდებით, წყლის ჩასხმით, ძველი მონეტების ჩაგდება, რა თქმა უნდა, ვერ იმუშავებს. მაგალითად, თბილისში თვითონ ხალხია დაინტერესებული, მოუარონ ლიფტებს, ყურადღებას აქცევენ და აბა ერთი ვინმემ გაბედოს, უდიერად მოპყრობა. აქ კი იგდებენ, ასე არიან მიხევეულები. ძრავი რომ გაფუჭდება, მერე იმის გაკეთება 500 ლარი ჯდება და ლიფტებიდან რომ ამოვიდოთ მის, გასაკეთებელი ფული, 1 წელი დასჭირდება. რა თქმა უნდა, ისეთი ადგილებიც არის, სადაც უფრო ადვილად ლიფტებს. მაგალითად, მაღლაყვის უბანში, რუხადის ქუჩაზე, ჭანტურის ქუჩაზე. ფასის განახლებას რაც შეეხება -



მარტო მაღლა ასვლის დროს გადახდას, მაშინ დაფინანსება უნდა მოხდეს. რომ იყოს საშუალება, სულაც უფასოს გაგვხდით, მაგრამ სამწუხაროდ, არ გამოდის“.

როყვა თვლის, რომ უკმაყოფილო ხალხი არ დაიდევს. ასევე ამბობს, რომ ხშირად

ბევრ ტყუილსაც ავრცელებენ. შესაძლოა, ბევრი არაკეთილსინდისიერი ადამიანი მართლაც უდიერად ეპყრობა ლიფტებს, რაც დასაგმობი საქციელია თავისთავად. იმედია, ლიფტები შეკეთდება და მოსახლეობაც გაუფრთხილდება მას.

როგორ ავასებენ ფოთელთა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას

საქართველოს რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, დოლარის მატებამ და ლარის კურსის გაუფასურებამ, პროდუქტზე ფასების ზრდა და მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. სწორედ ამიტომ დაინტერესდით და მოსახლეობის ნაწილს რამდენიმე კითხვა დაეუსვით. „მე რიგითი მოქალაქე ვარ და არა ეკონომისტი, ეს ყველაფერი კი სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის ბრალია“- გვითხრა ერთმა ჩვენმა თანაქალაქელმა.

დევიზ გეგმავალი: „ყველაფერში კატასტროფული მდგომარეობაა, რადგან დოლარმა აიწია, მომავალ წელს ფასები უკვე გასაქანი აღარ აქვს. არ აქვთ შემოსავალი, რომ რამე შეიძინონ“.

რუსუდან ალექსანდრია: „ყველაფერი გაძვირდა, ყველაფერს ცეცხლის ფასი აქვს. ბანკში ოქრო მაქვს და ფულს ორმაგს ვიხდი. ერთხელ დამჭირდა კანონი და სამართალი, მაგრამ ამოღდა, სამწუხაროდ, აქაც ვერაფერს მივაღწიე“.

რიტა გაბელია: „დოლარი ძლიერ გაძვირებულია და რა თქმა უნდა სასურველია, რომ დაიკლოს, რადგან მასზე ყოფილა ფასები მიბმული. ყველაფერი გაძვირდა, ქვეყანაში ძალიან რთული მდგომარეობაა“.

ირმა ღურუკაია: „ვინც კი სესხი დოლარში აიღო ბანკებიდან, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ყველა ორმაგს იხდის, როგორც უნდა იცხოვროს ასე ადამიანმა, რამდენი მკვლელობა და თვითმკვლელობა ხდება იმიტომ, რომ ადამიანს ელემენტარულად თავის რჩენის საშუალება არ აქვს. ასეთი კრიზისი ახლა რომ გვაქვს, არასდროს ყოფილა. მსოფლიო კრიზისია, რა თქმა უნდა, მესმის, მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ? პენსიონერი სახელმწიფოსაგან დახმარებას მაინც იღებს და იმ ახალგაზრდამ რა ქნას, არანაირი შემოსავალი, რომ არ გაანჩია და სამსახურებიც რომ არსადაა“.

ნანული ლოლაძე: „ძალიან ცუდი სიტუაციაა საქართველოში, უმუშევრობაა და არანაირი უკეთესობა არ არის. უფრო პირიქით“.

ირმა ხარბაია: „დარწმუნებული ვარ, დღეს ყველას უჭირს, თითქმის ყველა მოქალაქეს სესხი გვაქვს დოლარში გამოტანილი, გაუსაძლისი მდგომარეობაა, ყველაფერი გაძვირდა. როცა დოლარი ძვირდება, მაშინ ყველაფერს ემატება ფასი თავისთავად და უჭირს ხალხს ძალიან“

ფოთში სოციალური და სპორტული მომსახურების სენზორი ინსტალირება

ნანუა ქაჯაია
ფოთი

დაფუძნების შესახებ თანხმობა ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის ბიუროს მე-3 რიგგარეშე სხდომაზე მიიღო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“. აღნიშნული ცენტრის დაფუძნების მხარდამჭერი სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაია ჩხარტიშვილი გახლდათ. იქიდან გამომდინარე რომ მსგავსი რეაბილიტაციის ცენტრი ქალაქში არ არსებობს და ამასთანავე აუცილებელია მისი არსებობა, სწორედ ამ საკითხზე გავამახვილეთ ყურადღება და შევეცადეთ დაწვრილებით გავგვერკვია მისი მიზანი, ამოცანა და მოსალოდნელი შედეგები, მით უმეტეს, რომ დაუძღვრებულნი და ლოგინსმიჯატეული ადამიანების რაოდენობა ქალაქში ნამდვილად საჭიროებს ამგვარი ცენტრის არსებობას.

როგორც აღმოჩნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის“ დაფუძნების მიზანია, უზრუნველყოს დაუძღვრებულნი და ლოგინსმიჯატეული ბენეფიციარების სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია. ეს პროფესიულ ცოდნაზე დამყარებული ისეთი მომსახურებაა, რომლის შედეგად იზრდება ბინაზე მყოფი პაციენტის ჯანმრთელობის ალბათობა და უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი. საქმიანობის სტანდარტები შემუშავებულია, ძირითადად, დასავლეთ ევროპულ მოდელზე დაყრდნობით, თუმცა ადაპტირებულია ჩვენი რეალობისთვის. მომსახურება მოიცავს სამედიცინო, სოციალურ და სხვა სერვისებს, მომსახურების საჭიროება განისაზღვრება ადამიანის ცხოვრების ყოველდღიური აქტივობების- საკვების მიღება, დაბანა, ჩაცმა, ტუალეტი საწოლიდან წამოდგომა, ასევე ცხოვრების ყოველდღიური ინსტრუმენტალური აქტივობების- პროდუქტის მოტანა, საკვების დამზადება, მედიკამენტების მიღება და სხვა სახით. ამგვარი ზრუნვა გულისხმობს ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის პრევენციას და მართვას- ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახის წევრებთან ერთად ან მათ გარეშე შინ მოვლის სერვისის განვითარებისა და დანერგვის გზით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს მაია ჩხარტიშვილს: „რამდენიმე თვის წინ გაჩნდა იდეა, რომ დავხმარებოდით ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ თავის მოვლა. ფოთში არიან ასეთი ბენეფიციარები მათი რაოდენობა ცნობილია, მაგრამ სამუშაო ჯგუფის შექმნის შემდეგ გვეჩვენა მათი ზუსტი რაოდენობა. პროექტის ამოცანაა, პროფესიულ ცოდნაზე დამყარებული ისეთი მომსახურება, რომლის შედეგად იზრდება ბინაზე მყოფი პაციენტის (დაუძღვრებულნი და საწოლს მიჯატეული) სასურველი ჯანმრთელობის ალბათობა და უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი. სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი კომპლექსური სერვისი გახლავთ, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილია შინმოვლის პროგრამა, რითაც ჩვენ ვიწყებთ, ხოლო მომავალში ვაპირებთ ამ პროგრამას დავამატოთ ხანდაზმულთა დღის ცენტრი, პალიატიური მზრუნველობის ცენტრი. საექიმო, საექთნო, სოციალური თუ საყოფაცხოვრებო დახმარებისა და ძირეული მოვლის შედეგად მიზნობრივი ჯგუფი (დაუძღვრებულნი და ლოგინსმიჯატეული ადამიანები) ისარგებლებენ როგორც სოციალური, ასევე სამედიცინო რეაბილიტაციის სერვისით, რაც გულისხმობს პროფილაქტიკას და იანგოსტიკას, მკურნალობას, მონიტორინგს და სხვა“.

დანგრეული გზები და უკმაყოფილო მოსახლეობა

დასაწყისი 3-ბ3.

და პრაქტიკულად ყველა უბანს მოიცავს: ნაბადის უბნის შტაბის დასახლებას, პარკის უბნისა და ახალსოფლის უბნის ქუჩებს“.

როგორც მერიაში გავარკვიეთ არაუგვიანეს 3 წლისა, ფოთელებს ერთით ნაკლები პრობლემა ექნება, რადგან მალე იწყება საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება. როგორც ცნობილია, არსებული პროექტით საქართველოს 7 ქალაქში იგეგმება საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება, რისთვისაც გამოყოფილია ნახევარი მილიარდი ლარი. პროექტი ხორციელდება აზიის განვითარების ფონდის, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით. როგორც ქალაქის თვითმმართველობაში გვითხრეს: „ 2016-2017 წლებში უნდა განხორციელდეს საკანალიზაციო სამუშაოები, პროექტის პირველი ეტაპისთვის გამოყოფილია 26 მილიონი. 2017 წელს კი დანარჩენი 40 მილიონის ათვისება უნდა მოხდეს. დაახლოებით სამ წელში უნდა დამთავრდეს კანალიზაციის სისტემის მოგვარება“. ასევე გავიგეთ, რომ დაპროექტება დასრულებულია, მაგრამ მიმდინარეობს პროექტის ექსპერტიზა, დაზუსტება და გარკვეული კორექტირებები შედის პროექტში.

ამჯერად, მთელი ქალაქი იქსელდება, ანუ გადაითხრება (მხოლოდ აღმაშენებელი და რკალი რჩება ხელშეუხებელი), რაც გარკვეულწილად, პრობლემასაც შექმნის, რადგან ისედაც დანგრეული გზები კიდევ უფრო გადაითხრება.

თუ ხელისუფლების წარმომადგენლებს ვერწმუნებით, მალე ფოთში მშენიერი გზები იქნება. როგორც იტყვიან - „აღდგომა და ხეაღწევა“.



ფოთის ავტოსადგომის შენობა უმკითხველ მდგომარეობაშია

დასაწყისი 3-ბ3.

ხელშეკრულებაში ამოიკითხა: „ეს შენობა ეკუთვნის შპს „ავტოსადგომის სერვისს“ და ხელშეკრულება მაქვს გაფორმებული მასთან. სადგურის უფროსი მე ვარ. 4 წლის წინ შენობა შევედგეთ, მაგრამ მალევე წვიმებმა და თოვლმა ისევ გააფუჭა. ადრე ამას ჩემი თანხებით ვაკეთებდი, მაგრამ რაღაც პრობლემები შემექმნა და გაეწერა. დაახლოებით 180 ათასი ლარი მაქვს დახარჯული, სამწუხაროდ, ვეღარ გავაგრძელებ. როგორც კი დათბება, დაიწყებ გზის მოხრეშვას, როდესაც გადაიხურება და შეიღებება, შიგნით ტრაფარეტები მოისხნება. გვერდით არსებულ დარბაზს მოვაწესრიგებთ და იქნება მოსაცდელი დარბაზიც“.

ავტოსადგომის თანამშრომელი ბიჭიკო ნატყეპია ავტოსადგომში 33 წელია მუშაობს. როგორც მან გვითხრა: „ავტოსადგომი ყოველთვის აქ იყო, მაგრამ პატარა ზომის. თუ არ ვცდები, 1987 წელს 15 მოსახლე აასახლეს და ოდესის ვაგზის პროექტით ააშენეს ახალი ვაგზალი. 5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მშენებლობა და ჩვენ რკინიგზის სადგურში ვიყავით შეკედლებული. მას შემდეგ ავტოსადგომი კაპიტალურად არ გარემონტებულა. რამდენიმე წლის წინ გადახურეს და შეღებეს“.



ფოთის ფოლკლორის ცენტრის მომავალი გეგმები

მარიამ ალინაშვილი ფოთი

ფოთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია - ისტორიული ფაზისი, მაგრამ ამ სიძველეს ნაშთები დღითიდღე ქრება. ნათქვამია, იმ ერს კი, ვინც თავის ისტორიას, წარსულს ივიწყებს, წინსვლა და მომავალი არ უწერია. ქალაქში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობათა უმრავლესობა ეპოქის შესაბამისად, მოდერნის სტილის ნამუშევართა რიგს განეკუთვნება. როგორც ცნობილია, წარმოშობით გერმანელი ინჟინერ-მშენებელი ედუარდ ფრიკი აქტიურად მოღვაწეობდა ამ მშენებლობაში 1907-1909 წლებში. რამდენიმე შენობა დღეისათვის ნგრევის პირასაა, თუმცა ამ მდგომარეობის გამოსწორებად არაფერი არც ტარდება და არც სამომავლოდ იგეგმება. მეტიც, შესაბამისი სამსახურები ამ თემაზე მხოლოდ ზოგადად საუბრობენ.

კულტურის სამსახურის უფროსი დავით შეროზია როგორც გვეუბნება ქალაქში 66 უძველესი ისტორიული ძეგლის სტატუსის მქონე შენობაა. აქედან უფუნქციო და ნგრევის პირასაა 4 - პოსტიტალი, ძველი ტელევიზიის შენობა, რომლის მხოლოდ კედლებია დარჩა, ყოფილი "კვ" - ს შენობა უმძიმეს მდგომარეობაშია.

მართალია, აღნიშნული უნიკალური კულტურის ძეგლი ფოლკლორის ცენტრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მიზანი ხალხური შემოქმედების პოპულარიზაცია გახლავთ, ასევე ხალხური შემოქმედების ყველა მიმართულების აღორძინება და ხალხური შემოქმედების ყველა ხარისხის განვითარება. ფოლკლორის ცენტრი კონცერტებს, ფესტივალებს, კინოფესტივლების, სპექტაკლებს, თეატრალიზებულ სანახაობებს, კონკურსებს ატარებს, როგორც დახურულ, ისე საკონცერტო მოედანზე. ღვაწლმოსილ მუშაკთა საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოების ჩატარება, ნიჭიერ შემოქმედთა გამოვლენა, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პოპულარი-

ზაცია (სამუზეუმო, ფოტო, და ვიდეო მასალების მოძიება და კლასიფიკაციაში მოყვანა), ჩატარებული მნიშვნელოვანი მოვლენის ამსახველი ფოტო, ვიდეო-აუდიო მასალების გადაღება და გამოფენების მოწყობა, ფოლკლორის ცენტრის მუშაობის ამსახველი საარქივო დოკუმენტაციის შექმნა, აღნიშნული ცენტრის ფუნქციას შეადგენს. რა ხდება ამ მხრივ ჩვენი ქალაქის ფოლკლორის ცენტრში, როგორი დატვირთული იყო გასულ წელს და რა გეგმები აქვთ სამომავლოდ, ამის შესახებ ვესაუბრეთ ფოლკლორის ცენტრის დირექტორის მოადგილეს მაიკო ტიკარაძეს. „ჩვენთან ფოლკლორის ცენტრში ფუნქციონირებს ქართულ-ხალხური სიმღერისა და ცეკვის სტუდიები, სადაც მოზარდები ეზიარებიან ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვების დიად ტრადიციებს. ამ სტუდიების ბაზაზე აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას აწვდიან სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები „ფაზისი“, ქალთა ცირი „ფაზისი“, ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი, ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამება“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლაზიკა“, გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტი, საბავშვო ბრენდი, გოგონათა ვოკალური ანსამბლი „არკო“, ბიჭუნათა ვოკალური ანსამბლი, თოჯინების სახალხო თეატრი, მუნიციპალური ცირი. ცენტრში არსებობს ფოლკლორული მასალების არქივი, რომელიც აგროვებს, ინახავს და იცავს ქართული მუსიკალური, ქორეოგრაფიული, ზეპირსიტყვიერი და კინო ფოლკლორის უნიკალურ ნიმუშებს“ - გვითხრა მაიკო ტიკარაძემ. იგი გასულ წელს საკმაოდ ნაყოფიერად აფასებს და რამდენიმე ჩატარებულ ღონისძიებაზე გვიამბობს: „თოჯინების სახალხო თეატრმა სპექტაკლით „მუსიკის პანგები ტყეში“, გასვლითი საახალწლო სპექტაკლები ჩაატარა საბავშვო ბაღებში, 9 აპრილის მემორიალთან მოეწყო ამ დღეს დაღუპულთა



სოსენისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ივნისში ბულგარეთში ჩატარდა ფესტივალ-კონკურსი „ხელოვნება და მეგობრები“, სადაც ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლაზიკა“ მონაწილეობდა. ივლისში - ოლიმპიური ცენტრის ჩირაღდნის ჩამოტანის ცერემონიაში მონაწილეობდა ხალხური სიმღერის ანსამბლი „ფაზისი“. საფხულში ქობულეთში ჩატარებულ მე-11-ე საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში „ზღვის ჰარმონია“ ხალხური სიმღერის ანსამბლიც მღეროდა. აგვისტოში სოხის საერთაშორისო ფესტივალში „სიმღერა სამეგრელოზე“ ფოლკლორული ანსამბლი „ფაზისი“, ქალთა კვარტეტიც მონაწილეობდნენ, ასევე აგვისტოში ფოთთან დამუშავებულ ქალაქ აშდოტის დელეგაციის საპარტიკულარო გამართულ კონცერტზე ფოლკლორულმა ანსამბლმა „ფაზისმა“, ქალთა კვარტეტმა და ვოკალურმა ანსამბლმა „ფაზისმა“ დიდი მოწონება დაიმსახურეს. მთ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ანსამბლ „ფაზისის“ ვარსკვლავის გახსნა“. მაიკო ტიკარაძის თქმითვე, ეს ჩატარებული ღონისძიებების მხოლოდ მცირედი ჩამონათვა-

ლია. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ფოლკლორის ცენტრის დირექტორის მოადგილე როგორც ამბობს: „წელს მოეწეობა ფოთის ღვაწლმოსილი ხელოვანის, იროდი ტიკარაძის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო-შემოქმედებითი საღამო, ასევე კოლხური ფოლკლორის საღამო. შედგება შეხვედრა თვითნასწავლ გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებთან და მოხდება მათი ნამუშევრების გამოფენა. აღინიშნება თოჯინების სახალხო თეატრის საიუბილეო თარიღი. 2016 წელი იუნესკომ მსოფლიოში შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა და ამ მიმართულებითაც იგეგმება ფართომასშტაბიანი ღონისძიების თეატრალიზებულ სანახაობის მოწყობა, იქნება სიურპრიზები“.

ფოლკლორის ცენტრში არსებული თოჯინების სახალხო თეატრის ხელმძღვანელი ნალია ამირანაშვილი როგორც ამბობს: „ჩვენი სახალხო თეატრი შეიქმნა 1976 წელს. 1986 წელს თბილისის თეატრალური საზოგადოებისა და კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების მეთოდური ცენტრის მიერ შერჩეული ჟიურის გადაწყვეტილებით თოჯინე-

პროფკავშირებმა „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, კანონპროექტის განხილვაში მიიღეს მონაწილეობა

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომას სპმპ-ის პრეზიდენტი მაია კობახიძე, აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი მარი ალუღიშვილი და ვიცე-პრეზიდენტი საფინანსო დარგში ნათია კორძაძე ესწრებოდნენ. სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილებოდა საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „ადრეული, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ კანონპროექტი და მისგან გამომდინარე თხუთმეტამდე კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრებსა და დაინტერესებულ პირებს საკანონმდებლო ინიციატივა გააცნო ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელიამ. მან დეტალურად წარმოადგინა საბავშვო ბაგა-ბაღების სისტემის მდგომარეობა და სახელმწიფოს მხრიდან დანახული პრობლემების გამოსწორების გზები.

ბესელიამ განაცხადა, რომ კანონპროექტის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა ის სტრუქტურა, ვისაც ეკისრება ვალდებულებები წარმატებით განახორციელოს რეფორმა.

კომიტეტის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას საშუალება აქონდათ მიეღოთ დეტალური ინფორმაცია კანონპროექტის ცალკეულ ასპექტებთან მიმართებაში, ასევე დაესვათ შეკითხვები და წარმოედგინათ საკუთარ შენიშვნები თუ ხედეგები.

სპმპ-ის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა კანონპროექტის ყველა ინიციატორს გაწეული საქმიანობისთვის, რადგან ამ პროექტის ამოქმედება სრულყოფილ განვითარებულ ქვეყნების კონცეფციას უწყვეტი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.


„წარმოდგენილი კანონპროექტი ძირითადად სწორად განსაზღვრავს სტრატეგიასა და ტაქტიკას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის. მისი მიზლების შემდეგ, კანონის წარმატებით ამოქმედება ბევრად იქნება დამოკიდებული კანონქვემდებარე აქტების სრულყოფილად შემუშავებაზე, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება და ჩამოყალიბდება ერთიანი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამების, დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური პირობების, შრომის ანაზღაურების და სხვა საკითხებთან მიმართებაში.“

დღეისათვის, სპმპ აერთიანებს საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულთა 35%-ს. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს წევრთა შრომითი და სოციალური უფლებების დაცვაზე. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის რეფორმის პერიოდში მოგვიწევს აქტიურად ვითანამშრომლოთ დამსაქმებლებთან. ჩვენი თანამშრომლობა ბევრად უფრო წარმატებული იქნება, თუ კანონპროექტს დაემატება პროფესიულ კავშირთან თანამშრომლობის ვალდებულებები. ვინაიდან, მოგვეცემა შესაძლებლობა თავიდანვე ჩავერთოთ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში და შევქმნათ ისეთი დოკუმენტები, რომელიც დამსაქმებულთა და დასაქმებულთა ინტერესებს მაქსიმალურად გაითვალისწინებს.

ჩვენი მეორე წინადადება ეხება კანონის ამოქმედების ვადებს, რომელიც განსაზღვრულია კანონპროექტის დასკვნით და გარდამავალ დებულებებში (მე-8 თავი). ჩვენ კარგად გვესმის, რომ ბავშვთა განსაზღვრული რაოდენობით ჯგუფების ფორმირება დაკავშირებულია ადრეული განათლების გადამწყვეტთან (ახალი შენობები და არსებული შენობების რეაბილიტაცია), რაც მნიშვნელოვან თანხებსა და დროს მოითხოვს. თუმცა, ვფიქრობთ, რომ აღმზრდელ პედაგოგების/ადმინისტრატორების თანაფარდობის საკითხი ბავშვთა რაოდენობასთან შესაძლოა გადაიტაროს ოპტიმალურ ვადებში, 2020 წლამდე. საკითხი უადრესად მნიშვნელოვანია, როგორც ბავშვთა უსაფრთხოების, ასევე პედაგოგიურ-საადმინისტრაციო საქმიანობის წარმართვისა და სხვა თვალსაზრისითაც. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ საკითხის მოგვარება დაიწყო ეტაპობრივად და ყოველწლიურად, შესაძლებლობის ფარგლებში. ვფიქრობთ, ამ წესის დანერგვა უნდა განხორციელდეს 2020 წლამდე, იმ საბავშვო ბაგა-ბაღებში, სადაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ჯგუფებში ბავშვთა გადაჭარბებული რაოდენობიდან გამომდინარე“ - განაცხადა მაია კობახიძემ.

სპმპ-ის წინადადებებს მხარი დაუჭირა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე-რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრმა, ვია ჟორჟოლიანმა და მისი ინიციატივით შეთანხმდნენ შემუშავდეს კანონპროექტში დასამატებელი ნორმის შინაარსი.

ფოთის თეატრის თეატრალური და მარტივი აქტივობები

 <p>ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი POTI VALERIAN GUNIA PROFESSIONAL STATE THEATRE</p>	
თეატრალური საშუალებები	ა. ჩხეიძე
23	ალეუბლის ბალი.რეკვირით
თეატრალური საშუალებები	ა. მახარაძე
24	ხანუშა
თეატრალური საშუალებები	თ. ჯანაშია
28	ჯვარი
მარტი 2	მ. იონიძე
საშუალებები	მეკბეტი
მარტი 4	ლ. ბედაძე
პარასკევი	თეატრი
მარტი 6	ა. სულაბაძე, რ. სტარა
კვირა	სალამურა
მარტი 9	მ. მისლიძე
ოთხშაბათი	ჩემს ბაღში ომია
მარტი 11	ა. სიხოლია, თ. მათაზაძე
პარასკევი	კალიგულა
მარტი 15	ბ. ბაძაღვა
საშუალებები	ფარღის დაფუძვლა
მარტი 16	ა. სანაძე
ოთხშაბათი	ხანუშა
მარტი 17	ს. მროველი
ხუთშაბათი	ჩარეცხილები
მარტი 18	ი. რევა
პარასკევი	ხრამუნა
მარტი 20	ა. სულაბაძე, რ. სტარა
კვირა	სალამურა
მარტი 26	მ. ბუღაძე
შაბათი	მორფი
მარტი 27	ა. ჩხეიძე
კვირა	ალეუბლის ბალი.რეკვირით

საუბრო: (+995) 577 054 308

სპორტი ფოთელი ძალოსანი ირაკლი ჭანტურია მსოფლიო ჩემპიონი გახდა

მარი ჯანაშია
ფოთი

დუბაიში ძალოსნობის სამსახურში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ფოთელი ძალოსანი ირაკლი ჭანტურია მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ჩემპიონატზე მონაწილეობას ღებულობდა ევროპის რამდენიმე ქვეყნის სპორტსმენი. საქართველოს ღირსებას კი ფოთელი ძალოსანი ირაკლი ჭანტურია იცავდა. მსოფლიო ჩემპიონატზე ფოთელმა ძალოსანმა წარმატებით იასპარეზა და ოქროს მედალიც მოიპოვა. ფოთელმა ძალოსანმა მსოფლიო აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა და 332.5 კგ შედეგი აჩვენა.



ღვამბერიას მორიგი ნარმატება

რამდენიმე დღის წინ თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში 20 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა ფოთის საჭადრაკო სკოლის მოსწავლე ნიკა ღვამბერიამ, მან 9 შესაძლებლობიდან 6,5 ქულით მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ღვამბერია ჯერ კიდევ 18 წლისაა და ის წელს საქართველოს 18 წლამდე მსოფლიო ჩემპიონატშიც მიიღებს მონაწილეობას. ხოლო 20-24 თებერვალს ფოთის საჭადრაკო სკოლაში მიმდინარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩემპიონატი 18, 14, 10 და 7 წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ჩემპიონატში მონაწილეობს რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 100-მდე მოჭადრაკე. ტურნირი შვეიცარული სისტემით 9 ტურად ტარდება. საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მოიპოვებენ საქართველოს შესაბამისი ასაკის ჩემპიონატების უმაღლესი ლიგის საგზურებს.



რას მალავს ჩვენი ღიმილი

მეცნიერები ღიმილის რამდენიმე სახეს გამოყოფენ: ალერსიანი ღიმილი, შეხვედრის ღიმილი ანუ ალერსიანი ღიმილი, რომელიც ერთდროულად აახლოებს და ინარჩუნებს დისტანციას, მას შეუძლია ისე დაგაახლოვოს სრულიად უცხო ადამიანს, თითქოს მთელი ცხოვრება იცნობდეთ. "გულწრფელი ღიმილი ესება ჩვენში ძალიან მნიშვნელოვან გრძობას - თანდაყოლილ მოთხოვნილებას სიკეთისადმი" - წერს დალაი-ლაბა წიგნში "ახალი ათწლეულის ეთიკა".

შეცბუნებული ღიმილი - როცა თავს იმართლებს ძალიან ხშირად ღიმილი კმაყოფილებას არ გამოხატავს. ზოგჯერ იგი გამოსახავს ყველასგან და ყველაფრისგან თავის დაღწევის სურვილს. შეცბუნებული ღიმილი გამოსახავს ტუნებზე, როცა არასათანადოდ მოვიქცევით და სირცხვილის გრძობა გვაწუხებს. ეს არის ღიმილი - კომენტარი, რომელიც მიუთითებს ჩვენ თანამონაწილეობაზე. "გაწბილებული ღიმილი აჩვენებს, რომ ჩვენ ვცდილობთ ემოციების დაოკებას და არა მოთმენას".

გაბედული ღიმილი - გვმატებს თავდაჯერებულობას როცა თავს ვაძიებთ გავიღმით, ამით ვიმასხვრებთ ჩვენ წარმატებებს და არა დამარცხებებს. ღიმილი გვეხმარება სტრესის დაძლევაში და ცვლილებების მშვიდად მიღებაში.

თავდაცვითი ღიმილი გაურკვეველ სიტუაციაში ღიმილი თავდაცვის პირველი იარაღია, ასევე მოდუნების საშუალებაა, რომელიც გვეხმარება საკუთარი აგრესიულობის შეკავებასა და სხვათა აგრესიულობის ნეიტრალიზაციაში. დაძაბულობის მოსახსნელად ღიმილი ყველა კულტურაში გამოიყენება. მაგ. როცა უცხო ადამიანებით სავესოთასში შედიხარ, ძალაუფლებურად იღიმიე.

შეთქმული ღიმილი - გვაერთიანებს ეს ღიმილი გვახსენებს, რომ ადამიანებს საერთო წარსული აქვთ, რომ მათ ერთად მნიშვნელოვანი მოვლენები გადაიტანეს. ეს ღიმილი გამოხატავს დიდ ურთიერთგაგებას, სიახლოვეს შერჩეული ადამიანების მიმართ.

მაცდუნებელი, მომაჯადოებელი ღიმილი - რომელიც გვიპყრობს გერმანელმა ეთოლოგმა ირენაუს აიბლ-აიბსფელდმა (ირენაუს იბლ-იბსტეილდტ) დაამტკიცა, რომ ღიმილი ადამიანთა გულების დაპყრობის ერთ-ერთი იარაღია. ევროპელი ქალები ყველაზე მეტად მამაკაცებში ღიმილს აფასებენ (37%), იგი წინ უსწრებს შეხედვას (13 %). ღიმილი ერთდროულად ამხნევებს და ამშვიდებს. შესაძლოა მამაკაცს არ ჰქონდეს თქვენთვის მოსაწონი თვისებები, მაგრამ მისმა ღიმილმა დაგიპყროთ.

დღეში რამდენჯერ გავიღიმებთ დამოკიდებულია ადამიანსა და გარემოებებზე. თუმცა, განა ყოველთვის კმაყოფილების გამოსახატად ვიღიმი? ღიმილი და სიცილი საკმაოდ რთული მოვლენაა და მას ბევრი რამის ახსნა შეუძლია... სიცილს მეცნიერები უკვე ოცი წელია სწავლობენ, ღიმილი კი, ადამიანური გრძობების უნატიფესი გამოვლენაა და ნაკლებად შესწავლილი.

ადამიანი პირველად იღიმის სიცოცხლის პირველი 30-45 დღის შუალედში, ყველაზე გვიან - 3 თვის ასაკში. პატარა ღიმილით გამოხატავს თავის კმაყოფილებას ნაცნობი ადამიანის დანახვისას, ან მგლოფიური ხმის გაგონებისას ან ჭამის შემდეგ... ამერიკელმა ფსიქოლოგმა პოლ ეკმანმა (აულ კმან) გამოყო ცხრა მეტრიკი ღიმილი, მათ შორის შიშის, ზიზღის ან ირონიის გამოხატულება... ღიმილი ტენში მიმდინარე პროცესია, რომელიც იწყება პიპოთალამუსის წინა ზონის ადგენებით (პიპოთალამუსის უკანა ზონის აგზნება იწყებს საწინააღმდეგო რეაქციას - უკმაყოფილებას), საიდანაც ნერვული იმპულსები გადაეცემა ღიმილურ სისტემას, რომელიც პასუხისმგებელია ჩვენს ემოციებზე. კუნთის ტონუსი სუსტდება, სახეზე კი კმაყოფილება გვეხატება.

გაცივებისას მოქმედებაში მოდის 15 კუნთი. ღიმილის დროსაც არანაკლებია საჭირო. თუმცა სხვადასხვაგვარ ღიმილში სხვადასხვა კუნთი მონაწილეობს. ზრდილობიანი ღიმილისას ხდება ტუნების უბრალოდ გაწევა და იკუმშება დაწევის კუნთი, ფართო და მხიარული ღიმილისას მოქმედებაში მოდის ქუთუთების მამოძრავებელი კუნთები. სასიამოვნო გრძობების განცდისას თვალის ირგვლივ კუნთები უნებლიედ იკუმშება. ამიტომაც ძალიან ძნელია იძულებითი და ბედნიერების ღიმილის გარჩევა. ღიმილი გამოხატავს იმ გრძობებს, რომელსაც სიტყვებით ვერ გადმოვცემთ.

მიღობვა

ჩვენს უკეთესსა და უღამაზს დავიკოს, მაია პაპაია-ჩხეიძის ვულოსავთ 50 წლის იუბილს. დაეე, კალიან გვიყვარხარ. უფალმა დიდხანს გვიცოცხლოს შენი თავი. თავითა და თორნიკა ჩხეიძეები

ჩვენს თანამგროველს - არაჩვეულებრივ ადამიანსა და უკეთესს ვაგობარს, მაია პაპაია- ჩხეიძის ვულოსავთ 50 წლის იუბილს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას, სიკეთეს, კეთილდღეობას ვუსურვებთ. უფალი უარავდეს ამ უკეთესობილს კალგაბონს.

რედაქცია

იყიდა

ფოთში იყიდა ღამით აღმავნებლის №30 საოფისი ფართი 75 კვ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 592 963 311

ფოთში იყიდა ერთოთახიანი სასმონკრავალი ბინა ჯიქიას №9, 3-ე სართულზე, მოხანების პარსკაქივიტი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 568 42 14 57 ჯემალი 579 70 65 34 ანა

<p>გაგეთის ხელმოწერითა საყურადღებოდ!</p> <p>ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის</p> <p>1 წლით - 50 ლარი</p> <p>6 თვით - 25 ლარი</p> <p>3 თვით - 12,50 ლარი</p> <p>კარდაკარის პრინციპით გაგეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის</p> <p>3 თვით - 6 ლარი</p> <p>იკითხეთ გაგეთი მედიკალინა</p>	<p>გაგეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სამუშაოდ ინვესს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაგეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებალ კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შედეგ მისამართგა: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17</p>	<p>გაგეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სტაქირეზაგე ინვესს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთას სურთ მიიღონ გამონდილება ქურნალისტიკაში წარმატებული სტაქირეზები დასაქმდებიან გაგეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართგა: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17</p>
---	---	--

ისარგებლეთ გაგეთი "მთავარი თემა სამეგრელოში" უღამათიანი მოხანახურობით, განათავსეთ გაგეთში განხანაღამაგი, რაქლაგამგი, მიღობვაგი. ოჯახის სამგლოვიარო განხანაღამაგი, მიღობვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქალი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორგამი ფასი, სურათიანი განხანაღამაგი: სამგლოვიარო - 15 ლარი, მიღობვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რაქლაგა: მესამე გვერდზე - მთლიანი გვ. (100სგ2)-150 ლარი, ნახეპარი (500 სგ2) - 75 ლარი; მართხანი (250სგ2)- 37.50 ლარი; მესამე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახეპარი - 65 ლარი; მართხანი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რაქლაგა ხუთჯარ კვირია, ვიღრა მესამე გვერდზე, ბოლოზე - სამჯარ კვირია ვიღრა მესამე გვერდზე. პოლიტიკური რაქლაგის ღირებულება ორგამია. მრავალჯარად რაქლაგებზე და ხელმოწერაგზე გათვალისწინებულია ფანდაქლაგა. გაგეთის გამონდრის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამონდრის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17.

მედიკალინა თქვენი პრობლემების კვლადაკვალ

ნიმნით აღნიმნული სგაგეები იბეჭდება რეკლამის უფლებით.